სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/84

ქ. თბილისი 14 ივნისი 2024 წ.

პროფესიული გადამზადების საგანმანათლებლო პროგრამის და მისი ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2024 წლის 15 აპრილის საბჭოს სხდომის № 5 ოქმის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 14 ივნისის №01-05-02/17 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. დამტკიცდეს პროფესიული გადამზადების პროგრამა „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება“, პროგრამაზე მოთხოვნილი მსმენელთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 20 ადგილით;
2. პროგრამის ხელმძღვანლად დაინიშნოს - გივი გოლეთიანი, მექანიკის ინჟინერიისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის პროფესორი;

3. გაუქმდეს პროფესიული მომზადების პროგრამა „მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების მომსახურება“;
4. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე;
5. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**